499.962.1
ჯ-838

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რუსუდან მამიას ასული ჭუმბურიძე

ქცევა ძველ ქართულში

10. 02. 01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი
ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ზურაბ სარჯველაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10. 02. 08)

გიორგი გოგოლაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10. 02. 01)

ოფიციალური ოპონენტები: დამანა მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10. 02. 01)
ნანა ლოლაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10. 02. 08)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10. 07. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2004 წლის 17 ნოემბერს, 12.30 საათზე.
მისამართი: 380028. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №1, კორპ. I.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქუჩა, №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 15 ოქტომბერი.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფ. რამაზ ქურდაძე

- 1938 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ძველი ქართული სამწერლობო ენის შესწავლისას ლექსიკასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკულ კატეგორიათა კვლევას, რადგან უამისოდ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, მისი განვითარების სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

ქცევის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ძალზე დამახასიათებელი და სპეციფიკურია ქართველური ენებისათვის, ახალ ქართულში შედარებით კარგადაა შესწავლილი. მას ეძღვნება სხვადასხვა ავტორის არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ძველ ქართულში კი იგი დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა. სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული ჩვენი არჩევანი.

ქცევასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ დაგვანახა, რომ აღნიშნული კატეგორიის შესახებ ერთგვაროვანი თვალსაზრისი არაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, არსებობს საპირისპირო შეხედულებანი ოპოზიციის წევრთა რაოდენობაზე (მკვლევართა ერთი ნაწილი სამწევრა ოპოზიციის არსებობას ვარაუდობს, მეორე ნაწილი კი ქცევაში ორწევრა ოპოზიციას გამოყოფს), სადავოდაა ქცეული აგრეთვე ქცევის საკითხი გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ქცევის გამოხატვის საშუალებები და მექანიზმი ძველ ქართულში, ქცევასთან დაკავშირებული ენობრივი თავისებურებები, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორითაა გამოწვეული.

კვლევის მიზანი და ობიექტი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქცევის კატეგორიის შესწავლა ძველი ქართულის მონაცემთა მიხედვით: გარკვევა იმისა, თუ რა საშუალებები არსებობს აღნიშნული ენობრივი მოვლენის გამოსახატავად ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლების ენაში; რა ნიუანსები ახლავს ქცევისნიშნიან ფორმათა გამოყენებას; მოძიება და დაჯგუფება ზმნებისა ორწევრა და სამწევრა ოპოზიციებად; ყურადღების გამახვილება ზმნებზე, რომელნიც მხოლოდ ერთი ფორმით არიან დამკვიდრებულნი, ან სადაც ქცევის ნიშნის ფუნქცია ნეიტრალიზებულია და სხვ.